№ 19 თბილისი ოქტომბერი 1964

ნიკო

გამოცემის 42-ე წელი. ფასი 20 კაპ.

ნახ. ჯ. ლოლუასი

ქარგის ფონზე

— ჩავვარდით, მეზობელმა ბინათმშენებლებმა ისეთი სახლები ააშენეს ამ ჩვენ მახინჯს ვინლა მიიღებს საექსპლოატაციოდ!

ცოტა ავაჩუქოთ

გამიშვით სოხუმში

იქნება ვინმემ იფიქროს, საირმე ირმების და ჯიხვების ნაკრძალიაო. არა, მეგობრებო, საირმე საოცრებაა, საირმის წყალი გლეჯს პიტალო კლდეს.

საირმეს ჩემთვისაც დაუფშვნია ქვა და, პირობისამებრ, ყოველი ქვის დაშლაზე სოხუმს უნდა დავკავშირებოდი.

საირმეში, ფანტასტიკური თვისებების მქონე წყლის გარდა, საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგურიც არსებობს. ალბათ, ეგზოტიკის აბსოლუტური განცდის მიზნით, ოთახი პირველყოფილი თემური წყობილების დროინდელ სადგომს გავს, და შიგ არღნის მსგავსი ტელეფონის აპარატი დგას, რომელსაც ან დილის 10 საათიდან 12-მდე, ან 5-დან 7-მდე გულმოდგინედ ატრიალებს ტელეფონისტი ქალი რუსიკო ჯაფარიძე და რომელსაც არანაკლები „გულმოდგინებით“ უგდებენ ყურს მაიაკოვსკის კავშირგაბმულობის უფროსი ხურციძე და მისი „დამკვრელი და სანიმუშო“ მომსახურების მეელსმენეთა ბრიგადა ზაირას, მაყვალასა და გულნარას შემადგენლობით. ეს არაორგანიზებული კონცერტი, დაახლოებით, ასე იწყება: შეკვეთას, რა თქმა უნდა, მე ან სხვა დამსვენებელი აძლევს. — ალო, ალო, სადგური, სადგური! ზაირა ხარ? მაყვალა ხარ? გულნარა ხარ? შე დაფეხვილო, გამიშვი თბილისში...

— წადი, მერე ვინ გაკავებს?

— გადამაბი, გადამაბი!..

— გადაგება და გადაგეფსკვნა ნაწლავები, მაძლევენ და არ გიშვებ?!.

— ქუთაისი, გამოუშვი თბილისი...

— ვუშვებ და არ მოდის.

— ქუთაისო, დაკიდე! თბილისო, შენ აიღე!..

— გოგოვ, შე დასამიწებელო, გათავდა დრო!

— ნუ მაიმუნობ!

— მე ვარ მაიმუნი?

ლაპარაკში ვერევი.

— გოგონა, მე ქვა ამომიღეს და სასწრაფოდ მინდა სოხუმს დავუკავშირდე.

— ამხანაგო, თქვენ ქვა ამოგიღეს, მე კი აღმომაჩნდა, მაგრამ ერთი კვირაა ვერ დავუკავშირდი ოჯახს. მიჯავრდება მელოტი კაცი.

— ავადმყოფები ურიგოდ, — ბრძანა ვიღაცამ.

— გოგონა, დამაკავშირებთ თუ არა სოხუმს? — ვუმეორებ კითხვას.

— როგორ, მე მან მაიმუნი მიწოდა და, ამის შემდეგ, დაველაპარაკები!?—აუვარდა ისტერიკული ტირილი რუსიკოს.

— ოღონდ ახლა შეურიგდით და, რაც გინდათ, მთხოვეთ, — ვემუდარები.

— ქალბატონო ზაირა, თუ შეიძლება, შეურიგდით... — ვუბღავი მაიაკოვსკის სატელეფონო სადგურის მორიგეს გადაგდებულ მილში.

— არ გეღირსებათ ის დღე, მე რომ პირველი დაველაპარაკო!— მესმის იქიდან ირონიული, ღიმილნარევი ხმა და ყურმილს მიკიდებენ.

ათი დღის მეცადინეობისა და მოღვაწეობის შემდეგ, როგორც იქნა, შევარიგე რუსიკო და ზაირა და მათაც სოხუმსა და საირმეს შორის სანუკვარი მავთული გამიბეს.

— ალო! — აღმომხდა მე ნანატრი სიტყვა.

— გისმენთ, გისმენთ, — მიპასუხა უფრო ნანატრმა ხმამ.

— როგორ ხართ, მე კარგად ვარ, მალე ჩამოვალ. არა გრცხვენია, ქალო, ერთი წერილი რომ...

— ვინაა შენი ქალი, შე სულელო! — მაწყვეტინებს სიტყვას ვიღაცის ბასი.

— ბოდიში, მე ჩემს ცოლს... ალო, ალო, თბილისი ხარ?

— თბილისი ვარ! არ ჩამომიყვანო მანდ, თორემ გაგიხეთქავ თავს, „ქალოს“ მოგცემ მე შენ! — დამიკიდა ყურმილი უცნობმა ბასმა.

გაწყდა კავშირი და ისევ დასაკლავი ხბოს თვალებით შევხედე რუსიკოს, მან მხრები აიჩეჩა, მე რა შემიძლიაო, და ყველაფერი ამით დამთავრდა.

უსინდისო არ გეგონოთ და არ იფიქროთ, რომ უკმაყოფილო ვიყო საირმეთი. ღმერთი ააშენებს იქაურობას და იქაური კურორტის სახელოვან კოლექტივს, გულმოდგინედ მკურნალობენ თირკმელებით დაავადებულებს და ჩემისთანა ათასები დააბრუნეს ამქვეყნად. ახლა აფხაზეთში ჩემზე ჯანმრთელი ხარი არ დაიარება, მაგრამ კავშირგაბმულობის, თუ, უფრო სწორად, კავშირგაუბმელობის მაიაკოვსკის განყოფილებამ შემიკლა კაცი და შემიმოკლა ხანი.

ი. გერსამია

ნახ. მ. აბაშიძისა

— სადაურია, ბებო, შენი ლობიო?

— როგორ, შვილო, მაგეც საზღვარგარეთულია ახლა მოდაში?!

ერთი სარკმლის გასაჭირი

— ალო, გისმენთ, ხაზზე ქუთაისი, კაკაბაძე მეორეში, სეფისკვერაძე მესამეში, კალანდაძემ მოითმინოს ჯერჯერობით, არაფერი უჭირს...

— ერევანი მომეცით „სროჩნად“, ერევან მოი, მილიიი...

— მინერალური წყლები, არ შეგეშალოს და კონიაკი არ ჩაწერო დეპეშაში...

— ერთი სამტრედიაში გამაგზავნე, შენი ჭირიმე, ორიოდე წუთით, როიალზე პოლონური ჰალსტუხები დამრჩა და ცოლს უნდა ვუთხრა თავის ნათესავებში არ გაანიავოს.

— მოითმინეთ, ბატონო, ხმას რომ არ ვიღებ, ასე ხომ არ არის საქმე?! მე მომეცით ზღვა, მომეცით მზე, მომეცით გაგრის რესტორანი და ცისფერთვალება ქერა ქალი.

— მე მომეცით ცა...

— მე მომეცით ხმელეთი...

— ღმერთო, რა დავაშავე ასეთი...

მკითხველი მიხვდება, რომ ასეთი დიალოგი იმართება სადღაც, რომელიღაც კავშირგაბმულობის განყოფილებაში. წარმოიდგენს საშუალო ზომის ერთსართულიან შენობას, სადაც დამსვენებლებს რამდენიმე განყოფილება ემსახურება, მაგრამ იგივე მკითხველი ძნელად წარმოიდგენს, რომ ეს აურზაური ერთ პატარა სარკმელთან ხდება.

სადაო? — არ დაიჯერებს მკითხველი.

სად და აგერ, ჩვენთან, ქობულეთში, მეორე სართულზე მდებარე საქალაქთაშორისო სალაპარაკო სადგურის ერთადერთ ფანჯარასთან. ამ ფანჯარასთან დღეში ასობით დამსვენებელი იყრის თავს და ერთადერთი მომსახურე გოგონას ცოდვით სარკმლის მინა დნება.

ნიანგი ფიქრობს, რომ ეს სარკმელი სათანადოდ არ არის დატვირთული და წინადადებას იძლევა აქვე დამატებით გაიყიდოს სამგზავრო მატარებლის ბილეთები ყველა მიმართულებით, ხილ-ბოსტნეული და, თუ საჭირო იქნება, გამაგრილებელი წყლებიც.

მ. ჯაფი
გ. მახვილაძე

არ მომიპარავს, მიპოვნია

ჯანმრთელ კაცს ორი ფეხი აქვს. მეც ორი. ჩემმა ფეხებმა ერთხელ ციხეშიც მიმიყვანეს სპეკულაციისთვის. მერე გამომიშვეს და გადავწყვიტე დროებით მუშად მემუშავა სადმე და იზოლირებული ბინა მეყიდა.

ჯერ საზღვაო ვაჭრობის ფოთის კანტორაში შევდგი მარჯვენა ფეხი.

— გვარი, სახელი, მამის სახელი, მისამართი.

— შამელაშვილი შალვა აბრამის ძე, ფოთი, ცხაკაიას, 49

— მიღებული ხარ საქონლის გადამტან-გადმომტანად.

ღმერთმა დაწყევლოს მარცხენა ფეხი! საქონელი ხანდახან ჩემს ბინაში-შემქონდა.

— ე, ბიჭო, არ შეცდეო! — ამომძახოდა სინდისის ხმა გულიდან. სინდისის ხმას გულში სარქველი დავხურე და ცალკე სავაჭრო გავხსენი, სავაჭრო წესები კი ფეხებზე დავიკიდე.

სამრეწველო საქონლის დამალობანას თამაშში ჩამოერიენ მოულოდნელი „სტუმრები“.

— ეს რა არისო? რა დაგიმალიაო?

— ვახ, რა გინდათ ჩემგან, ერთ-უბრალო მუშა ვარ, რასა ჩხრეკავთო?

— ეს 177 ცალი კაპრონის თავსაფარი ვისიაო?

— ჩემ და ჩემი ძმისიაო.

— 3800 ცალი გასაბერი რეზინის ფერადი ბუშტები რად გინდაო?

— მეზობლის ბავშვს ვუყიდეო.

— ეს 69 ცალი ჩინური ავტოკალამი სად მოიპარეო?

— არ მომიპარავს, მიპოვნია, ახლა ჩემიაო.

— შე ცუღლუტო, შე ასეთო, შე ისეთო, ეს 67 ცალი საათის ტყავის სამაჯური, 150 მეტრი კარების ფარდების გასაწყობი ფოჩი, 167 არყის ბოთლების ეთიკეტი რა თავში სახლელად გინდა, სად იპოვეო?

— იყო და არა იყო რა, დილის 4 საათზე ერთ ტომარაში ჩაწყობილი ვიპოვე, და დავმალე. მაშ ხომ არ გადავაგდებდიო?

— კიდევ რა გაქვს დამალულიო?

— მომბეზრდა დამალობანას თამაშიო.

— მაშ ახლა დაჭერობანა ვითამაშოთო.

— და შალვა შამელაშვილი „ნაპოვნი“ ტომრებით იზოლირებულ ბინაში წაიყვანეს.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
შამელაშვილი იქა, „ტომარა“ აქა.

ვ. ნიკოლოზიშვილი

სოფელ რუფოთის (ზესტაფონის რაიონი) რვაწლიანი სკოლის შენობა ავარიულ მდგომარეობაშია.

ნახ. ჯ. ლოლუასი

მასწავლებელთა და მოსწავლეთა მეცადინეობა ქარიან ამინდში.

ფირნასწავლი

„ეძლაყელი კოლა ქიტესოვის ეზოში დარჩეული ხორბლით გავსებული ორმოცდაათი ტომარა ერთი ძეორეზე დაეწყოთ და ერთსა და იმავე ხელს თითოეულისათვის К. И. К. წაეწერა.

— ხორბალი თქვენია? — ვეკითხებით დიასახლისს, რადგანაც სახლის პატრონი შინ არ აღმოჩნდა.

— არა...

— მაშ, ვისია?

— არ ვიცი, ვიღაც შოფერმა მოგვიტანა!

— ვინ იყო ის ვიღაც შოფერი?

— უცნობი.

— რატომ მოიტანა?

— გამომატანესო.

— ვინ გამომატანაო?

— ნიკომაო.

— ნიკო ვინ არის?

— ნათესავია ჩვენი, წითელწყაროელი.

— რა გვარია?

— გვარი არ ვიცი.

წითელწყაროელი არც ერთი ნიკო არ აღმოჩნდა სორბლის პატრონი და წითელწყაროელ არც ერთ ნიკოს არ აღმოაჩნდა კოლა ნათესავი.

სამაგიეროდ ლაგოდეხში აღმოჩნდა К. И. К. — კალინინის სახელობის კოლმეურნეობა.

— სწორ კვალს მივაგენით? — ვკითხულობთ წითელწყაროს კოლმეურნეობაში და, კითხვა არც კი დაგვიმთავრებია, რომ უფროს ბუღალტერ ნიკოლოზ ვასილის ძე პაპუაშვილს ეცვალა ფერი.

როგორ თუ უფროს ბუღალტერს ეცვალაო ფერი, და ეცვალა ფერი ბრიგადირ ფეოდორ იაკოს-ძე ბაირიკოვსაც და სხვას არავის არ ეცვალა. იქნება მოვუყვანოთ ფერიო და ჩამოვიყვანეთ ჩუმლაყში ორივე, შევსვით ტომრებზე და დაველოდეთ, როდის მოუვიდოდათ ფერი. მაგრამ, ნურას უკაცრავად, არც ერთს მოუვიდა ფერი, არც მეორეს, — მაგრამ წაუვიდათ ფერი ნიკოლოზ ქიტესოვს და ოთარ ალექსანდრეს-ძე თოროზოვს. წახდნენ ბიჭები. წაგვიხდა ხასიათი ჩვენც და შევეკითხეთ ფერწასულებს:

— რა მოგვიდათ, ხალხო, ხალხი აღარა ხართ? გამხნევდით, ხორბალიც აქ არის, ტომრებიც აქ არის, თქვენც აქა ხართ და ჩვენც აქა ვართ, — ვანუგეშეთ.

— ნეტავი ან ჩვენ არ ვიყოთ აქ, ან თქვენ არ იყოთ, ან ეს ხორბლიანი ტომრებიო, — იყო პასუხი.

— რატომაო? — ვეკითხებით.

— რატომაო და ჩავვარდითო!

— რას ამბობთ, კაცო, რამ ჩაგაგდოთ, მშვენივრად სხედხართო, — ვეუბნებით.

— ჩვენც იმას ვჩივით, რომ ვსხედვართ და ვისხდებითო.

და მერე, ურემი რომ გადაბრუნდა, გამოჩნდა მათ მიერ განვლილი გზა. ლაგოდეხელებს წითელწყაროელთა პური მართებიათ, კალს გადახდა უყვარსო, უთქვამთ ლაგოდეხელებს და შეუთვლიათ, გიხდით და თქვენი კაცი გამოგვიგზავნეთო. წასულა უფროსი ბუღალტერი პაპუაშვილი, წაყოლია ბრიგადირი ბაირიკოვი, წაუყვანიათ ოთარ თოროზოვი „თავისი“ სატვირთო მანქანით, დაუტვირთავთ იგი და წითელწყაროს ნაცვლად ჩუმლაყელი ქიტესოვის ეზოში ამოუყვიათ თავი.

ახლა იმისათვის, თოროზოვის მანქანამ ქიტესოვის ეზოში რომ ამოჰყო თავი, ამ ოთხმა „სახელოვანმა“ ოთხეულმაც იგი სადმე ხომ არ უნდა ამოჰყოს?

— თავისით რა შვილები არიან ამოჰყონ, მაგრამ სანთელსაკმეველი თავის გზას არ დაკარგავს და ამოაყოფინებენო, — თქვა ვიღაცამ.

— გზაც იქით ჰქონიათო, — დასძინა მეორემ.

მესამეს არაფერი არ უთქვამს, ვნახოთო, გაიფიქრა მხოლოდ.

ჰოდა. ვნახოთ.

გ. ჭანკოტაძე.

P.S. ყვარლის რაიონის სოფელ ჭანდრის კოლმეურნეობის საველე საწყობის გამგემ ნიკოლოზ სიმონის-ძე ნატროშვილმა თქვა, მე ვისზე ნაკლები ვარ თუ ველად მყოფმა, სადაც ნიავი მიქრი-მოქრის, ხორბალი არ გავანიავეო და სოფელ ჭაბუკიანის მცხოვრებლებს დავით პეტრიაშვილს, ომარ სირაძეს და აფრასიონ ბარბაქაძეს კოლმეურნეობის 1213 კილოგრამი ხორბალი ჯიბის ფულად მიუიდა.

თქვენ თქვენი საქმე იცოდეთ და მე ჩემი საქმე მეცოდინებაო, — დასძინა ვარდისუბნელმა ზაური შაქროს-ძე ხიზანიშვილმა და კოოპგამგეობის მინდობილობით შეიარაღებული ახტადახტა და წნორის ხორბლის დამამზადებელი კანტორიდან სოფლის მცხოვრებლებისათვის 2999 კილოგრამი ხორბალი გამოიტანა, მერე იფიქრა, რალა ვარდისუბანში წავიღო, აგერ ლაგოდეხში მუშტარი მყავს, ვინმე გრიგოლ იაკოფის-ძე კრიხელი და იმას ბითუმად მივყიდი, რათა კრიხელიც მადლობელი მყავდეს და ორიოდე გროში მე დამრჩესო, ჩემს მეზობლებს თავში ქვა უხლიათ და მუცელში სამართებელი, იმათ, ხორბალს კი არა, შავ ქვას ვაჭმევო.

თქვა და მოიქცა კიდეც ასე და იმიტომ მოექცა ძმათა მისთა სახელოვანთა სიაში, რამეთუ ფერი ფერსაო, ნათქვამია.

ნახ. ჯ. ლოლუასი

— კაცო, შენი ცოლი მსაჯია?
— საიდან დაასკვენი?
— აბა რატომ გიცდის ყოველდღე წამმზომით ხელში?

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲣᲩᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲐᲚᲔᲥᲢᲘᲙᲐ

საწყალი პოლიკარპიჩი! რაც ის გვეჩაჩინებოდა, რომ დიალექტიკის კანონია, ბუნებაში არაფერი არ იკარგებაო, ერთი ნივთიერება მეორედ იქცევაო, ესაო, ისაო, მაგრამ, გაგიგონია, კაცისშვილი არ უჯერებდა, ფილოსოფიის მასწავლებელი იყო და, რაც არ უნდა ეთქვა, შეეცსადებდით: ა, დეიწყო ახლა ფილოსოფოსობა-თქო.

მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, სჯობს გვიან, ვინმემ არასდროსო, მეც ისე დამემართა. ორიოდე თვეა, რაც საბუთაღოლზე გადმოვედი და მხოლოდ ახლა მივხვდი, რაც ჩვენმა საყვარელმა პოლიკარპიჩმა წლეების მანძილზე ვერ შეგასმინა. მართლაც არაფერი არ იკარგება, თურმე, ბუნებაში, კი, ღმერთმანი, და, თუ რამე ქრება, მართლა კი არ ქრება, თურმე, არამედ სხვა რამედ იქცევა, მეორედ, მესამედ და ა. შ.

მაგალითისათვის რაება შორს წავიდე. ჩვენი ქუჩის თავში რომ ვინმემ ბლომად დააქციოს წყალი, ვთქვათ, ოხანი დარჩეს მოშვებული, ეს წყალი უმალ იქცევა მორაკრაკე არხად, რომელშიაც გვდებივით ჩამწკრივებული მოცურავენ ვეძისელი ბატები და ყიყინით იკლებენ ინკურობას, ვითომდა მართლაც რაში გადაეჩრჩინთ და ახლა, ერთი შემოგვხედეთ, რა ბიჭებიც ვართო. ზუსტად ჩემი სახლის წინ ეს არხები გუბედ იქცევა, ახლა, ცოტა თუ ზემოდანაც მოწყალების თვალით გადმოხედა მამაზეციერმა, თვალისდასმხამბამები ეს გუბე ისეთ ტბად იქცევა, რომ შენგან მოწონებული. როცა გამოიდარებს, აქ უკვე ფუმეე და ლაფია. კიდევ კარგი, რომ კამეჩები ლისის ტბას მიეჩვივნენ და არ ჩამოდიან ბარადა, ხოლო, როცა მზე გამოაჭყიტებს და ზურგებს აგვიწვავს, ეს ლაფი მტვრად იქცევა. გაწვიმდება და ისევ თავიდან იწყება ყველაფერი. ა, ბატონო, შენი დიალექტიკა, ამაზე კარგი მაგალითი რაღა გინდა.

მაგრამ რა გინდა, რა. არავინ იცის ეს შესანიშნავი ექსპერიმენტული ნაკვეთი. მერედა რამდენს დაეხმარებოდა იგი მეცნიერულ მუშაობაში, თურრა ხომ ბრმაა პრაქტიკის გარეშე. მეც სწორედ ეს კეთილშობილური მიზანი მამოძრავებს, რომ ყველას ვამცნოთ ეს ამბავი და, თუ ვინმეა ჩვენი პოლიკარპიჩის დღეში, აქ მოიყვანოს თავისი მოწაფეები.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი — კი, მაგრამ, რა ქუჩაა ასეთი?

ა ვ ტ ო რ ი — საპროექტო, ბატონო.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი — გავიგეთ, ბატონო, საპროექტო და სარემონტო რომ ყოფილა თქვენი ქუჩა, მაგრამ რა ქქვია.მას?

ა ვ ტ ო რ ი — ასე ეწოდება, ბატონო, საპროექტო ქუჩა.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი — აა, ყოჩაღ, ყოჩაღ, კარგი სახელი მოუძებნიათ, ალბათ, იხუმრეს სამშენებლო კანტორის მუშაკებმა.

ა ვ ტ ო რ ი — სახელს რას დავეძებთ, ბატონო, ქუჩა გაგვიკეთონ, ან ნავები მაინც მოგვცენ და ვენეციელებივით ვივლიდა.

— კეთილი, — თქვა რედაქტორმა და ჩაიწერა, — ქუჩა ან ნავები.

ჩვენც მეტი რა გზა გვაქვს, დავეთანხმებით. მართალია, ქვეყნად არ არსებობს ქუჩა, რომელიც ასე აბარათლებდეს თავის სახელწოდებას, მაგრამ ჩვენი სურვილია მან თავისი დანიშნულება გამართლოს.

ᲒᲝᲒᲘᲐ ᲬᲐᲠᲑᲐ

ᲛᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲪᲠᲐᲕᲐᲠᲘ

— ამას ვის ვხედავ?! — ამ სიტყვებით შემოიჭრა დასასვენებელი სახლის ეზოში ჩემი მეგობარი აქვნტი და შვიდჯერ სულმოუთქმელად გადამკოცნა.

— როგორ ხარ, კაცო? — ძლივს მოვასწარი ამ ერთი კითხვის დასმა, მაგრამ, პასუხის გაცემის ნაცვლად, ჩემმა მეგობარმა ბრძანება გასცა:

— აბა, ლაპარაკი არ იყოს, ამ წუთში ჩემთან უნდა წავიდეთ სახლში!

— საუზმე იწყება 10 წუთში, ჩემს მეორე ნახევარსა და თანამშრომლებს ხომ არ მივაკოვებ?— ვუთხარი აქვსენტის.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო ბონდო, ყველანი უნდა წამოხვიდეთ. არ მოგწყენდათ მაინც სხვადასხვა ფორმით გაკეთებული ერთი და იგივე გემოს ბიტკი და კატლეტი? დღეს ისეთი გოჭის ხორცი უნდა გაჭამოთ, რომ ზესტაფონამდე ჩაგყვეთ მისი კვმო. გუშინ მეგობრებმა ჩამომტანეს ქუთაისიდან. იციცხლე, წუხელი მოვუხლინეთ, მაგრამ ბევრი ვერაფერი დავაკელით და თითქმის მთელი გოჭი კბილებდაკრეჭილი გვიცდის მეზობლის მაცივარში. — დაასრულა სიტყვა აქვსენტემ.

მეგობრის სიტყვებმა მაცდუნებელი გავლენა მოახდინეს ჩემზე, ადვილად დავთმე დასასვენებელი სახლის ერთფეროვანი საუზმე და, პირობით რეფლექსის შედეგად გამოყოფილი ნერწყვის ყლაპვით შევედექი წასასვლელად მზადებას. მეუღლესა და მეგობრებს გოჭის ხორცის ხსენებამ ისეთი მადა გაუღვიძათ, რომ ძლივს ვეწეოდი გზაში.

მაღე თვალ კაცმა მოვიყარეთ თავანს მეზობლის ეზოში. ჩვენს აქვე აქვს ბინა დაქირავებული მოხერხებულად ეზოში მაცივარს. სუფრა გაეშალა-ჩანგლით შემკული ცარიელებს გვერდში მოვეჯექეთ და მოლოდინში აეწყობელი გავბმენ.

გავიდა ათი, მაგრამ ჩვენ სუფრას არ ეტყობა. ერთმა მეგობარმა კიდევ: ამდენ ხანს კამეჩია კაცი.

ორი საათიც საშარეულოში დაეკარგა ჩვენ. ჩურჩული ხმამაღალ დიალოგად ვიზარდა.

— სად [illegible] გოჭი? — ყველა [illegible] ერთ [illegible] დისასმენ[illegible]ულებლად და მშვიდად [illegible] განმარტებას:

— რა [illegible], კეთილი გულის ადამიანო, თქვენ რომ წაბრძანდით, აბერე მეზობელს მოუვიდა სტეკი უპატივცემლოდ ხომ ვერ [illegible]ეთო?

— [illegible] ჩემს პურ-მარილზე მეზობლის [illegible]ები აქვიფეთ? — ერიანელმ[illegible] მამპალმ[illegible].

— მე მ[illegible]ატონო, თქვენ წუხელი დაამთავრეთ ქეიფი და ნარჩენებს ხომ არ შეგინახავდით, კვლავ მშვიდად მისცა განმარტება დისასლისმა.

— ქალო, მთელი გოჭი ნარჩენებია თქვენში? რა ვუყო ახლა ამ ხალხს, იქ საუზმე დავატკვებინე დასასვენებელ სახლში და აქედან მშიერი გავუშვა?..

გაცცცლეტული ღრიალებდა აქვსენტი.

— პამიდორს თუ მოიტანთ, ბატონო, ბაზრიდან, სალათს გავიკეთებთ, აგერ კიდევ ერთი წყნელი მყავს გამვებული ეზოში, ვინ დაიჭერს, თორემ არც იმას დავიშურებდი თქვენისთანა ვაკაცებისთვის.— თქვა კეთილმა დისასლისმა.

— როგორ, მთელი გოჭი ნარჩენი იყო და ახლა ერთი წყნელით გინდა გაგვიმასპინძლდე 15 კაცს? — შეუტია აქვსენტემ.

შემქნილი მდგომარეობის შედეგად ჩვენ ნერწყვი გაგვიშრა პირში დ, სრული ორი საათის ამოო ლოდინის შემდეგ, მორცხვი ბავშვებივით ჩუმად გავიპარეთ სუფრიდან. მაგრამ აქვსენტი ქუჩაში წამოგვეწია და, მანამდე არ მოგვეშვა, სანამ რესტორანში არ შეგვიყვანა.

დილით დაწყებული ქეიფი დაბინდებამდე გაგრძელდა. მეგობრებთან დამშვიდობებასაც საათნახევარი დასჭირდა. მივდიოდით დასასვენებელი სახლისაკენ და ისევ შემწვარ გოჭსა და მეზობლის მაცივარზე ვსაუბრობდით.

ნ. ნუკრიძე

— მამიკო, რა დაეშავა ამ ძიაშ?
— ალბათ, ქისის ბილეთი აიღო, შვილო!

ᲬᲐᲜᲬᲧᲠᲔᲑᲘᲡ ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘ

ყო და არა ყოო რა,
ყოო თხაბედა ეული,
ისეთ თხელ ქათიბს იცვამდა,
მთლად მოეჩანდა სხეული.
მოდიდთ გართული ცანცარა
ნეკეთითიეთ დაწვრილდა,
მაგრამ მოარტყა მიზანში:
რქეზმალალ ვაცთან დაწყვილდა.
ქორწილის დღიდან დაიწყო
ოჯახძი ცხარე კაკათი,
ცოლი ტყე-ღრეში დახტოდა
სულაც არ სურდა ნამატი.
ქ შ ა რ ი: ცოლს მისთვის
ვირთავდი,
ჯოვად მყოლოდნენ თავნები,
იცოდე, ცალად დაგტოვებ,
თუ კვლავ ასეთი იქნები.
ც ო ლ ი: ჯერ სულაც არ მინდა,
შენ დავჯდე როგორც მშობელი,
ძსტრს სერონობით მოვეპამო
ორი დღის წუთისოფელი.
ერთი ზამთარიც გაფორხდა
და ქმარს აუხდა წადილი:
ცანცარას შვილი გაუჩნდა,
მთავრესებრ პირკაბადრული.
ცოლმა ქმრის პატივსაცემად
შმობიარობა იკმარა,
ხახაგამშრალი პატარა
ძუძუსთან არ მიიკარა.
მთელი დღე გამოპრანჭული
დახტოდა მთიდან ბარადი
და ძეს ბებია წყლიან რძეს
აპმევდა საწოვარათი.
ამბობენ, თითქოს ყველა თხას
უყვარს თავისი თიკანი,
თუ ეს ასეა, ცანცარამ
რატომ გაიშრო ჯიქანი?

ქ. ᲘᲐᲙᲐᲫᲔ

— ცოლი მეხვეწება, ბავშვების ხათრისათვის მაინც დაუკელი სმასო!

— ფუჭერე და ახლა ნ ბოთლი ღვინე ნაცვლად 2 ბოთლ კონიაკს ეჯეკლლეში.

ᲜᲐᲜᲔᲙᲐᲠᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ

მოდის გათბობის სეზონი,
ცეცხლს როდი უყვარს ხუმრობა,
ყველას გაშოროთ, ოჯახში
„სახანძრო რაზმის“ სტუმრობა.

თქვენი ან ვიცი, მე უკვე
გამოვაცხადე „განეგამ“,
რომ ვიყოლიო ცოლ-შვილი
აწი შიშსა და კანკალში.

ვრძანე: სახლიდან გასვლისას
ჩააკრონ ყველა ნათუნა,
იკიხოონ ამიერიდან
სახანძრო ლიტერატურა.

შედგეს ლექცია, თემაზე
„ცეცხლი და მისი ჩაქრობა“,
ეცნობოს დიდს თუ პატარას
მცხეთურ ასანთის მზაკვრობა.

ყველა სახანძრო ინვენტარს
თავის ნიშნები დაუსვამ,
და თექვსმეტ წლამდე ბავშვები
ღუმელთან აღარ დაუშვამ.

ᲒᲠ. ᲩᲘᲥᲕᲘᲚᲐᲫᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲖᲝᲝᲞᲐᲠᲙᲨᲘ

მოყმემან გომურიშვილმა
მხეცებთან შეშმას ირჩია,
საწყობში ბრძოდ წასვლა
ვეიფიკა ულუფა — ჩრჩილ[illegible]

ლუკმას ყველოვანად ბეჭემოს,
მარჯვენა რიგოვის გვაბია,
ახალი ხორცი ბეკემოთ! —
ხმირად ეტყოდა ბატიანს.

ატირდა ბოკვერი ლეკვი,
არვინ დამსმენია ხმალოთ,
ვინ გვაშიშვლებს ნეკავი,
დამაფლეთინა ბრჭალლოთ!

[illegible]ამა მოკალოდათ ფრინველთაც,
ყველანი ფრინველა არწივი,
[illegible]ეიღაცა ქერი ბიმედან
[illegible]ნელ[illegible] ჩემ არწივი!

[illegible]ც დ[illegible]ცვეს ნაფორნი
ტურა, ენოტი, [illegible]
მაგრამ ჩაშხამდა [illegible],
ახლა განაჩენს ელიან.

მ. ᲨᲘᲚᲓᲔᲚᲘ

...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაბადების ორმოცი წლისთავი ჩემს ძმაკაცებთან ერთად ვიზეიმე რესტორანში.

როცა ზეიმიდან დავბრუნდი, რბილ სავარძელში ჩავესვენე, თავი ფიქრებს მივეცი და მთელი ჩემი ცხოვრების დავთრის ფურცლები გონებაში ერთიმეორის მიყოლებით გადავშალე...

სწორედაც რომ კაცი ვერაფერში დამემდურებოდა ცუდი ჩემს ცხოვრებაში არავისთვის არ გამიკეთებია.

მართალია, არც სიკეთეზე გამოუცხადებია ჩემთვის არავის მადლობა, მაგრამ, ნაცნობები თუ მეგობრები ნათესავები თუ მეზობლები კაცურ-კაცად მთვლიდნენ და ჩემთვის ესეც დიდი ჯილდო იყო.

ერთადერთი რაზედაც მისაყვედურებდა ბევრი, ეს ჩემი მარტოხელობა გახლდათ.

— ყველაფრით კარგი ხარ, ჩემო ბესარიონ, მაგრამ მაგ შენს ვაჟკაცურ მხარბეჭს, აქეთ-იქიდან ცოლ-შვილიც რომ გიმშვენებდეს, ათასჯერ კარგი იქნებოდი. —განსაკუთრებული გულმოდგინებით მისაყვედურებდა, ყოველ შეხვედრისას, კარის მეზობელი ოლღა სეფისკვერაძე, — არა, არ მოგბეზრდა მაინც მაგ შენს გამოცარიელებულ მშვენიერ ოროთახიან ბინაში მარტო ბორიალი?!.

—ეჰ, რა ვიცი, ჩემო ოლღა, ქალი გაწყდა ჩემთვის... ჰოდა, ეტყობა ასე მარტოხელამ უნდა დავლიო სული.

— არ მითხრა ახლა, ბესარიონ ქვათაძე, არავინ მომყვებაო, თორემ ნასადილები ვარ და, ზომაზე მეტად რომ გავიცინო, მეშინია ნაწლავების გადახლართვა არ დამემართოს. — კბილები ნაძალადევად დაკრიჭა ოლღამ და ერთბაშად აღშფოთებით აჰყარა კოპები შუბლზე: — მაინც რომელმა ჭკუამთელმა ქალმა დაგიწუნა?.. რაო, ბინა არ მოეწონა შენი, ხელფასი, თანამდებობა, თუ გვარიშვილობა?!. მატყუებ რაღაცას ამ მოხუც ქალს და გიხარია გულში, ხომ?..

— ა!.. როგორ გეკადრება, ჩემო ოლღა... უბრალოდ, ჯერ იყო და სწავლას გადავყევი, მაშინ ცოლის შერთვაზე ფიქრის უფლებაც არ მქონდა. მერე მუშაობა დავიწყე და თავფეხიანად ჩავეფალი საქმეში... დრომ თავისი გაიტანა. გაფრინდა ოქროს წლები!... აბა, თვითონ განსაჯე: ახლა ეს სამურაბე ტაშტივით თავმოპრიალებული კაცი ვის რად ვუნდივარ?..

ოლღამ ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ გვისმენსო, მერე ამხედ-დამხედა და თვალების ბრიალით მკაცრად მკითხა:

— ბესარიონ ქვათაძე!.. იმ შენი ცხონებული მამის საფლავს გაფიცებ, სიმართლე მითხარი, გინდა გაბედნიერდე?..

— კი, მინდა, მაგრამ სად არის... — გამეცინა უნებურად.

— არის... არის!.. იცი რა ძმისშვილი მყავს?.. ლაპარაკი ზედმეტია, ერთის ნახვით შეგიყვარდება, იმას მოუკვდეს ჩემი თავი, ქმარი დაეღუპა საცოდავს ამ ორი წლის წინათ... მერე რა ქალია!.. მეჩტა!.. ის რომ ხაჭაპურებს დააცხობს, ის რომ წიწილებს კეცზე შებრაწავს და გიტარას ააჟღარუნებს, გადარევა შეიძლება... მთხოვნელებისაგან თავი აქვს მობეზრებული, მაგრამ გამოიკეტა საბრალო სახლში და სათოფედ არავის იკარებს...

— აკი გითხარი, ჩემო ოლღა, უიღბლო კაცი ვარ... ჩემი საშველი არ არის, არა!..

— ...ოლ... კი მომკალ... აბა მაშ რატომ ვარ... ბობ ... ...

ხომ არაფერი წამომცდა?

მე ისა ვარ, ვისაც საშაულო ამერიკელს უწოდებენ. მადლობა გამჩენს, უმუშევარი არ დავდივარ, მიყვარს ჩემი ცოლი და შვილები, არ ვტოვებ ბეისბოლის არც ერთ შეხვედრას და ხმას ვაძლევ რესპუბლიკელებს. დიახ, რესპუბლიკელებს. სწორედ ამაზე უნდა მოგახსენოთ, რადგანაც იყო მომენტი, როდესაც მე კინაღამ ვუღალატე ჩემს ტრადიციას.

როდესაც კომუნისტები აკრიტიკებენ ჩვენს ლიდერებს, ეს მე მაინცდამაინც არ მაღელვებს, მაგრამ, უკანასკნელ დროს, რაღაც საოცრება ხდება.: თვით ნამდვილი ამერიკელები გოლდუოტერს კაციჭამიობას და ომის გაჩაღების სურვილს აბრალებენ. ბევრი ჩემი მეზობელი, რომლებიც წარსულში კეთილი რესპუბლიკელები იყვნენ, დემოკრატების ბანაკში გადაბარგდნენ. რა დაგიმალოთ და მეც ბევრ რამეში შემეპარა ეჭვი, ვაპირებდი გაქცევას, მაგრამ მერე გადავწყვიტე: მოდი, ერთი თვით ბარისთან მივალ, თვითონ უკეთ ამიხსნის თავის მრწამსს.

...ბარი კეთილი ღიმილით შემხვდა (უკვე ერთი წელია, რაც ის ჩემს დანახვაზე სულ იღიმება), დამსვა და დავიწყეთ საუბარი.

— ამბობენ, მისტერ, რომ თქვენ ომი გსურთ...

გოლდუოტერს გაეცინა და სიტყვა გამაწყვეტინა:

— ჰა-ჰა-ჰა! მე ომი? სისულელეა!

— მაგრამ განა თქვენი სიტყვები არ არის: „ჩვენი მიზანია კომუნიზმის სრული დამარცხება. გამარჯვების ალტერნატივა დამარცხებაა და არა თანაარსებობა და კომპრომისი“. როგორ გავიგოთ ეს?

— სულ უბრალოდ. ჩვენ უნდა ვაწარმოოთ მუდმივი დაწოლის პოლიტიკა და არა ომი.

— რას ნიშნავს ეს?

— მმ... როგორ გითხრათ... ჩვენ მუდმივად უნდა ვაწვებოდეთ კომუნისტებს, რომლებიც სულ უფრო დაიხევენ უკან. ჯერ დატოვებენ „თავისუფალი სამყაროს“ ქვეყნებს, მერე აღმოსავლეთ ევროპას და, ბოლოს, თვით რუსეთსაც... ყველაფერი მშვიდად, უომრად მოხდება...

— საოცარია!.. მაგრამ, ვაი თუ ისინი ვერ მიხვდნენ თქვენს კეთილ ზრახვებს და არ დაიხიეს უკან, მაშინ?

— ო, ეს სულ სხვა საქმე იქნება. რუსების ამგვარ მოქმედებას ჩვენ აგრესიად ჩავთვლით და მაშინ პრეზიდენტმა კი არა, თვით გენერლებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება ატომური იარაღის გამოყენების შესახებ...

— ბრწყინვალეა! ეს იქნებოდა ნამდვილი კაცთმოყვარეობა, რომ თქვენ ზანგების დესეგრეგაციის წინააღმდეგ არ გამოდიოდეთ.

— ვინ თქვა? მე პირველი მომხრე ვარ ზანგების თანასწორუფლებიანობისა!

— მაპატიეთ, მისტერ, მაგრამ არც ისე ჭკუათხელი ვარ: ზანგებისათვის სამოქალაქო უფლებების მინიჭების კანონპროექტის დამტკიცებისას სენატში თქვენ წინააღმდეგი იყავით.

— სავსებით სამართლიანია. მე წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი ძალადობისა, რაც ამერიკული თავისუფლების პრინციპებს ეწინააღმდეგება. მე არ მსურს, რომ იძულებით რომელიმე რესტორნის ან სასტუმროს მფლობელმა თავის შენობაში ზანგი შეუშვას. დესეგრეგაცია მის გულში უნდა ხარობდეს, მისი მრწამსი უნდა იყოს და არა ძალით მოხვეული კანონი...

— კი, მაგრამ, თუ ეს მას არ სურს...

— ჩვენ ქრისტიანული მეთოდებით უნდა დავარწმუნოთ იგი ამაში...

ამ სიტყვების გაგონებაზე ცრემლები წამომცვივდა თვალიდან. სენატორი მოგიახლოვდა და თავზე ხელი გადამისვა. მასაც თვალებში ცრემლები უბრწყინავდა:

— ჩვენ უნდა გვიყვარდეს ადამიანი, მის სიცოცხლეზე უნდა ვფიქრობდეთ.

— მაშინ რად გვინდა ამდენი შეიარაღება, რომლის კიდევ უფრო გაზრდას თქვენ მოითხოვთ?

— ადამიანისათვის, სულ ადამიანისათვის. ლისაბონიდან საიგონამდე, კონგოდან ჩრდილოეთ პოლუსამდე ამერიკის შეერთებული შტატების თავისუფლებას უდიდესი საშიშროება ემუქრება...

— განა ამოდენა ტერიტორიაზეა გადაჭიმული ჩვენი ქვეყანა? — დავეჭვდი მე.

— ჩვენ ვართ იქ, სადაც თავისუფლებაა. ხოლო, სადაც თავისუფლებაა, იქ კომუნისტები არ არიან.

ამ სიტყვების „რკინისებური“ ლოგიკა იმდენად გასაგები იყო ჩემთვის, რომ ამ საკითხზე საუბრის გაგრძელება ზედმეტად ჩავთვალე. გადავედი სხვა შეკითხვაზე:

— სენატორი დირქსენი ამბობს: „გოლდუოტერის მომხრენი კარგად ... შპალერს გვანანო“, რად გინდათ ასეთი ორგანიზაციის შექმნა?..

— მყარი ძალაუფლება დისციპლინირებულ ორგანიზაციაზე უნდა ... დამყარებული.

— ეს ჰიტლერისა და მუსოლინის რაზმებს მოგვაგონებს...

— ჰმ... არა, ჩვენ სულ სხვა გზით ვივლით...

— მაგრამ როკუელის ნაცისტებმა და ბერჩისტებმა თქვენ უნდა ... მხარი...

— რა ვუყოთ, მე ვერ შევუშლი ხელს ყოველ ამერიკელს ხმა მისცეს იმ კანდიდატს, რომელიც მას მოსწონს...

...საუბრის შემდეგ ჩემი ყველა ეჭვი აორთქლდა, როგორც ადუღებული წყალი. ახლა მივხვდი, რომ რესპუბლიკელებმა ჭეშმარიტად უდიდესი პიროვნება წამოაყენეს კანდიდატად პრეზიდენტის პოსტზე. ძროხების სასახლეში დაბადებული კანდიდატი სრულიად არ გავდა მოზვერს, იგი უკვე რქიანი და ეშვებიანი ცხოველი იყო, რომელსაც ტკბილი ხმა და შეეერცხლილი თმა აქვს.

„გოლდუოტერ“ ინგლისურად, როგორც მოგეხსენებათ, ოქროს წყალს ნიშნავს. ეჭვი არ მეპარება, რომ ბარის არჩევა პრეზიდენტად ნამდვილ ოქროს ნიაღვარს წარმოქმნის. მაგრამ ვის ჯიბეში? ო, ეს სულ სხვა საქმეა. ჩვენ ამაზე არ უნდა ვიფიქროთ. ჩვენ, საერთოდ, არ უნდა ვიფიქროთ. ჩვენს მაგიერ ხომ საყვარელი ბარი ფიქრობს.

გაუმარჯოს ბარის! ჰაილ, გოლდუოტერ!..

ა? რა მოხდა? ხომ არაფერი წამომცდა?

ზანზი გარა.

№ 709
15/I

ოლიმპიადა ქრონიკა

წინასაარჩევნო გამომგონებლობა

ერთმა დემოკრატმა მეგობართან საუბარში განაცხადა, რომ მისი დედა არასოდეს არ ერეოდა პოლიტიკაში, მაგრამ როგორც კი გაიგო, რომ რესპუბლიკელებმა გოლდუოტერი წამოაყენეს პრეზიდენტობის კანდიდატად, ადგა, ჩაიცვა ძველი სპორტული ტანსაცმელი, მიიკრა მკერდზე გოლდუოტერის სურათი და არ დაუტოვებია არც ერთი მედუქნე ჯორჯტაუნზე, რომ არ წაჩხუბებოდა. მედუქნეებს გაანჩხლებულ ქალთან ერთად გოლდუოტერიც გადარეულად ებლანდებოდათ თვალებში.

ინგლისური ბიზნესი

ერთმა ინგლისურმა ფირმამ, რომელიც შექსპირის ბიუსტებს ამზადებდა, მწერლის დაბადების 400 წლისთავთან დაკავშირებით—გადასწყვიტა თავი დაენებებია ამ შეკვეთის შესრულებისათვის, რადგანაც ეს საქმე მომგებიანი არ გამოდგა და გადავიდა „ბიტლზ“-ის (ანუ ხოჭო ინგლისურად. ასე ეწოდება ახალ ინგლისურ მჩხავანა საესტრადო ანსამბლს) „მუსიკოსთა“ ბიუსტების დამზადებაზე.

მოდა და ნეიტრალიტეტი

შვეიცარია პატარა მთაგორიანი სახელმწიფოა. ის ნეიტრალური ქვეყანაა, რომელსაც 100 წელზე მეტია არ მიუღია ომებში მონაწილეობა, მაგრამ, ამ ბოლო დროს, მთავრობამ, რომელიც გამალებული შეიარაღების ფსიქოზით არის შეპყრობილი, შეიძინა საფრანგეთისაგან უსწრაფესი „მირაჟი“-ს ტიპის გამანადგურებლების დიდი პარტია, რომლებიც აეროდრომიდან აფრენისას... მეზობელ სახელმწიფოთა საჰაერო სივრცეებში იჭრებიან.

„ორინპუკუ“ ბიზნესით

ტოკიოს ქუჩების ფეხსაცმლის მწმენდავებმა გადასწყვიტეს „ორინპუკუ“-სთან (იაპონურად ოლიმპიური თამაშობანი) დაკავშირებით ფეხსაცმელების გაწმენდის ნიხრი 50 იენიდან 60 იენამდე ასწიონ. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ ოლიმპიადაზე ჩამოსულ უამრავ უცხოელს ფეხის ზომა რამდენიმე ნომრით უფრო დიდი აქვს. ვიდრე იაპონელებს

ნახ. ო. ჯიშკარიანისა

— ამ შუაღამისას რას აკეთებ საწყობში?

— ვასუფთავებ. ბატონო!

რედაქტორი ნ. ბაკლიძე.

საredაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

საქ. კპ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—8-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1/X-1964 წ. ქაღ. ზომა 70×108 18, 0.5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კპ ცკ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 2593. უე 12032. ტირაჟი 40000



...მაგრამ ვინც უნდა გაგზავნოს ამერიკის იმპერიალიზმმა სამხრეთ ვიეტნამში — ტეილორი იქნება ეს თუ სხვა ვინმე, — სულ ერთია გაიმარჯვებს სამხრეთვიეტნამელი ხალხი იმიტომ, რომ იგი იბრძვის სიმართლისათვის, სამშობლოსათვის, მტრების წინააღმდეგ, ექსპლოატატორების წინააღმდეგ.

(ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლიდან ახალგაზრდობის მსოფლიო ფორუმის მონაწილეთა პატივსაცემად გამართულ დარბაზობაზე 1964 წლის 19 სექტემბერს).

ამაო ცდა.

ИНДЕКС 76137

ნახ. ბ. ლოგვინოვისა